# გილოცავთ ახალ წელს!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 1 (451?)

1972 წ. 1 იანვარი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




გ. იაშვილის ნახატი.

## გულდაგულ უნდა მოვემზადო

იუგოსლავიიდან დაბრუნდა მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, რომელიც აგარაკ ვრნიაჩკა-ბანიაში ევროპის ქვეყნების მოჭადრაკე ჩემპიონ ქალთა თასის III გათამაშებაში მონაწილეობდა. გთავაზობთ მის საუბარს „ლელოს" კორესპონდენტთან.

● თასის გათამაშებაში თქვენი შედეგით ალბათ უკმაყოფილო იქნებით. როგორ ხსნით წარუმატებლობას?

— არ მოველოდი, რომ თამაში თავიდანვე ცუდად ამეწყობოდა. კონარკოვსკა-სოკოლოვასთან მოსაგებ მდგომარეობაში ვერ შევამჩნიე პოზიციის სამჯერ გამეორება. იუგოსლაველმა მყისვე ყაიმი მოითხოვა, მით უმეტეს, რომ მთელ პარტიას აშკარად ყაიმზე თამაშობდა. ივანკასთან სიცილიური დაცვის ცნობილ ვარიანტში მცდარი გეგმა ავირჩიე. ვოკრალოვასთან დებიუტიდან უარესი პოზიცია მივიღე. საკმაოდ პარტია გადადებული მქონდა. გარჩევას ბევრი დრო სჭირდებოდა. პარტიების დამთავრებით მხოლოდ ღამით მივიღე და ამიტომ მეორე დღეს ვერეცისთან მოგებაზე ვითამაშე. ორჯერ შემოთავაზებულ ყაიმზე უარი ვთქვი და, როგორც იცით, ეს პარტია წავაგე. მერე, მართალია, მდგომარეობა ოდნავ გამოვასწორე. რას ვფიქრობდი, რომ თასის მოპოვების შანსი გამიჩნდებოდა: მეტოქეებმა პირდაპირ დაჩოცეს ერთმანეთი. პოლიქრონიადეს ანალიზი ჩვენს გადადებულ პარტიაში უნაკლო აღმოჩნდა. არც არის გასაკვირი: მას თან ახლდა შესანიშნავი მწვრთნელი სამარიანუ. სხვათა შორის, მწვრთნელი მხოლოდ ვოკრჟალოვას და მე არ გვყავდა. ყაიმით რუმინელმა მოჭადრაკემ გამასწრო მანამდე ნაჩქარევი ქულა ბულგარელ გეორგიევასთან დავკარგე. ერთი სიტყვით, ათი წელი იქნება, რაც ქალთა ტურნირში ასე უხეიროდ არ მითამაშია.

რა თქმა უნდა, გულდასმით გავაანალიზე წარუმატებლობის მიზეზები. შევამჩნიე, რომ თავიდან ყველა ყაიმზე მეთამაშებოდა, მე კი ვცდილობდი ზავისთვის თავი ამერიდებინა, ამინდაც ეს პოზიციისთვის საზიანო ყოფილიყო. ეს, ცხადია, შეცდომა იყო. როგორც ჩანს, მართალი იყო ალეხინი: ყაიმზე რომ გეთამაშებიან, ლოგიკურად და ფხიზლად უნდა განაგრძო ბრძოლა. უნდა გამოიყენო მეტოქის ყოველი ოდნავ მცდარი სვლა, მანევრი. თუ ის არ შეცდა, რას იზამ, ყაიმს უნდა დასჯერდე, ოღონდ მხოლოდ ყველა შანსის ამოწურვის შემდეგ.

შევამჩნიე ისიც, რომ მეტოქეები განსაკუთრებით მომზადებული მეთამაშებოდნენ. მაგალითად, ვოკრჟალოვამ ოსტატ ვაჟებსაც რომ შეშურდებოდათ ისე უნაკლოდ გაითამაშა ვოლგის გამბიტი. ჩეხოსლოვაკიელმა მოჭადრაკემ იცოდა ამ დებიუტისადმი ჩემი სიმპათიები და სათანადოდაც მოემზადა. მე ეროგვარად შებორკილი ვიყავი დებიუტის არჩევანში. საქმე ისაა, რომ მსოფლიო პირველობაზე მატჩისთვის სადებიუტო რეპერტუარი მომზადებული მაქვს და არ მსურდა მისი გამჟღავნება. როგორც ჩანს, მსოფლიო ჩემპიონი მუდამ გადახალისებული დებიუტით უნდა თამაშობდეს ტურნირებში.

ასეთია, ჩემი აზრით, წარუმატებელი თამაშის მთავარი მიზეზები.

● ვიდრე თქვენ იუგოსლავიაში იყავით, კუშნირი კვლავ პრეტენდენტი გახდა. როგორ აფასებთ მის გამარჯვებას ალექსანდრიასთან მატჩში?

— ამ მატჩმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ კუშნირი ჭეშმარიტად მეორე მოჭადრაკეა მსოფლიოში. პრეტენდენტის სახელის სამჯერ მოპოვება ცოტას როდი ნიშნავს. ვფიქრობ, ეს განუმეორებელი შემთხვევაა ჭადრაკის ისტორიაში.

● თუ შეხვდით მას მოსკოვში?

— შევხვდი და მატჩის გამართვის თაობაზე მოვილაპარაკეთ კიდეც. აშკარად კუშნირი უფრო დამთმობი იყო, ვიდრე მეორე მატჩის წინ მოლაპარაკებისას. ფედერაციის წინადადებით ბრძოლა აპრილის დამდეგს უნდა დაგვეწყო. კუშნირმა მთხოვა მოგვიანებით ავიღოთ სტარტი. შევთანხმდით: მატჩს 10 მაისს დავიწყებთ. სათამაშო ადგილის არჩევაც კოლეგიალური იყო. ბალტიისპირეთის ნებისმიერ ქალაქში ვითამაშოთ, სადაც გსურსო, მითხრა ალამ. ესტონეთი გამორიცხულია, ვინაიდან ჩვენი წინა მატჩი ტალინში იყო დანიშნული და ჩაიშალა-მეთქი. ახლა უხერხულად მიმაჩნია მატჩის გამართვის თავიდან შეთავაზება. ღამეთანხმა. საკავშირო ფედერაციამ მასპინძლობა რიგას შესთავაზა. ველოდებით პასუხს.

● როგორია მატჩისთვის მზადების გეგმა? თუ აპირებთ სადმე თამაშს?

— რა თქმა უნდა, მატჩისთვის მზადების გეგმაში პრაქტიკული თამაშიც შევა. ჩემი აზრით, ვითამაშებ მხოლოდ საკავშირო საჭადრაკო ოლიმპიადაში, რომელიც მარტში მოსკოვს გაიმართება. წვრთნას ნაახალწლევს შევუდგები.

● ვინ იქნება თქვენი მწვრთნელი?

— ეს საკითხი მალე გაირკვევა. არის რამდენიმე კანდიდატურა. სეკუნდანტი კი, როგორც იცით, თბილისელი ახალგაზრდა ოსტატი თამაზ გიორგაძე იქნება.

### „ლელოს" ინფორმაცია

## „სპორტლოტოს" მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 30 დეკემბერი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს" 36-ე ტირაჟი, რომელიც უკანასკნელი იყო 1971 წელს. აი, ბედნიერი ნომრები: 18 (რიკაობა), 21 (საცხენოსნო სპორტი), 33 (რაგბი), 38 (მშვილდოსნობა), 40 (ტურიზმი), 46 (ციგურაობა).

ახალ წელს პირველი ტირაჟი კიევში მოეწყობა.

## კიდევ ერთი ანკეტა

საქართველოს სპორტულ ფედერაციათა წარმომადგენლებმა, სპორტის სპეციალისტებმა და ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა 1971 წლის სეზონის შედეგების მიხედვით შეადგინეს ჩვენი რესპუბლიკის 10 საუკეთესო სპორტსმენის სია. კონკურსის დებულების თანახმად, ერთ სახეობაში ორი სპორტსმენის დასახელება არ შეიძლებოდა.

აი, როგორ გამოიყურება საუკეთესოთა ათეული (ანბანის მიხედვით):

ლ. ასატუროვა (მშვილდოსნობა), ნ. დრონოვა (ტანვარჯიში), ლ. თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), თ. ლეკვეიშვილი (ცურვა), ა. მეტრეველი (ჩოგბურთი), ა. მოშიაშვილი (მძლეოსნობა), ტ. ქლენტი (სასტენდო სროლა), ზ. საკანდელიძე (კალათბურთი), დ. შანიძე (ძალოსნობა), მ. ხურცილავა (ფეხბურთი).

შენიშვნა: ათეულში ხმების უმრავლესობა ა. მეტრეველმა მიიღო — იგი საქართველოს საუკეთესო სპორტსმენადაა აღიარებული.

## აი, ვინ ჭვანსაზია

შ. ლომიძე (თავისუფალი ჭიდაობა). 1971 წელს სოფიის მსოფლიო ჩემპიონატში მეორედ მოიპოვა ოქროს მედალი ქვემძიმე წონაში. წარმატებით იასპარეზა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაზეც — ჩემპიონი გახდა.

ლ. თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა). მსოფლიო ჩემპიონი პირველ საშუალო წონაში. მოიგო სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადა, აგრეთვე, საკავშირო ჩემპიონატი. ბრწყინვალედ გამოვიდა ირანის საერთაშორისო ტურნირში: აქაც გაიმარჯვა.

ტ. ალიბეგაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა). სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი ქვემსუბუქ წონაში.

საქართველოს ნაკრებმა თავისუფალ ჭიდაობაში სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა. გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ი. მალალაშვილი, ზ. შეყრილაძე, ტ. ალიბეგაშვილი, გ. ყვარელაშვილი, ნ. ხოზაშვილი, რ. მარსაგიშვილი, ლ. თედიაშვილი, შ. პაპაშვილი, შ. ლომიძე, ბ. გოგნაძე.

რ. რურუა (კლასიკური ჭიდაობა). სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი პირველ ქვესაშუალო წონაში.

ჯ. მეპრეღიშვილი (კლასიკური ჭიდაობა). სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი ქვემსუბუქ წონაში.

ს. ქარელი (სამბო). სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი მსუბუქ წონაში.

გ. გოგოლაური (სამბო). სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი პირველ საშუალო წონაში.

სპარტაკიადის დღეებში მოსკოვში ჩატარდა ქვეყნის ჩემპიონატები სამბოში, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ საკავშირო ხალიჩაზე I ადგილი დაიკავა ლ. თედიაშვილმა. სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ, აგრეთვე, გ. ყვარელაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა, მსუბუქი წონა) და რ. ხარშილაძე (სამბო, მსუბუქი წონა).

## საინტერესო საღამო

უჩვეულოდ გამოიყურებოდა 29 დეკემბერს ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტული დარბაზი, რომლის ცენტრში საახალწლო ნაძვის ხე აღმართულიყო, ხოლო გარშემო მაგიდებს უსხდნენ სპორტის სახელგანთქმული ვეტერანები და უძლიერესი სპორტსმენები ნ. დუმბაძე, ე. გოკიელი, ბ. პაიჭაძე, გ. ბალავაძე, გ. მერკვილაძე, ა. ნავასარდოვი, თ. მიქაელიანი, შ. გორგასლიძე, რ. შავლაყაძე, გ. ბესილოძე, ვ. ქლენტი, რ. ჩიმიშკიანი, მ. ჯუღელი, ნ. ასათიანი, ნ. გაფრინდაშვილი, თ. ლეკვეიშვილი, ლ. ასატუროვა, ნ. დრონოვა, ლ. თედიაშვილი, დ. შანიძე, ა. მოშიაშვილი და სხვ. შეკრებილებს მიესალმნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე, ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე გ. შარაშიძე. მათ საქართველოს სპორტსმენებს მიულოცეს ახალი წელი და მომავალ სპორტულ სეზონში ახალ-ახალი გამარჯვებები უსურვეს.

საღამოს ესწრებოდნენ, აგრეთვე, დედაქალაქის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საწარმო-დაწესებულებათა წარმომადგენლები.

საღამოს კარგად წარმართავდა სპორტის ოსტატი ჯ. კვანტალიანი.





# შევქმნათ ქართული ფეხბურთის მატიანე!

საოცარი სისწრაფით მიქრიან საფეხბურთო წლები. როგორც იტყვიან, მოხედვას ვერ მოასწრებ და კიდევ ერთი სეზონი გაგეპარება ისტორიის უსასრულო გზით თვალსა და ხელს შორის.

თითქოს გუშინ იყოო, ისე ახსოვთ ახალი თაობის გულშემატკივრებს 1964 წელი, ტაშკენტი, თბილისის „დინამოს" ტრიუმფი, ჩემპიონობა! ნათლად გვიდგას თვალწინ 1958 წელი, შვეციის მსოფლიო ჩემპიონატი, როცა ბრაზილიელებმა თვალი აუხილეს საფეხბურთო სამყაროს ახალი თამაშით და გვაჩუქეს ორი ისტორიული სახელი — პელე და გარინჩა!

უფრო უწინდელი პერიოდის გულშემატკივრებს ასევე ნათლად ახსოვთ 1936 წელი, გაზაფხული, თბილისის „დინამოს" პირველი ნაბიჯები საკავშირო სარბიელზე „ბ" ჯგუფში, 17 ქულა 18 შესაძლებლიდან, „ა" ჯგუფში გადასვლა.

გვახსოვს დებიუტიც იმავე წლის შემოდგომაზე, ა. დოროხოვის, შ. შავგულიძის, ბ. პაიჭაძის, გ. გაგუას, მ. ბერძენიშვილისა და სხვათა შესანიშნავი თამაში, III ადგილი უძლიერესთა შორის, დიდი, სახელოვანი გზის დასაწყისი.

ბევრნი ახლაც საქმიანობენ ფეხბურთში, რომლებიც 20-ანი წლების ამბავთა უშუალო მოქმედი პირნი არიან და მეტ-ნაკლებად დაგვიზუსტებენ სხვადასხვა სახის მოვლენებისა და ფაქტების სინამდვილეს.

მაგრამ პირველ თეთრ ლაქებს საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში სწორედ აქ ვაწყდებით. ბევრი რამ გაურკვეველია, პრესა მაშინ სისტემატურად არ აშუქებდა რესპუბლიკის საფეხბურთო ცხოვრებას, ბევრი ცნობა არ ქვეყნდებოდა, არაა შემორჩენილი შეჯიბრებათა ოქმები, ოფიციალური ანგარიშები, არ ვიცით „მოქმედ პირთა" ვინაობა.

აი, ამიტომ, „ლელოს" რედაქციამ გადაწყვიტა ხელი მოჰკიდოს საქართველოს ფეხბურთის მატიანის შექმნას, შეკრიბოს ყოველნაირი მასალა, წესრიგში მოიყვანოს იგი და გამოაქვეყნოს თავის ფურცლებზე. თუ როგორ მოხდება ამ ისტორიის კლასიფიცირება, გვაჩვენებს თვით შეგროვილი მასალა, რაოდენობა, სიზუსტე. განზრახული გვაქვს ცალკე თავად შეიკრიბოს რევოლუციამდელი ფეხბურთის ისტორია. ალბათ ასეთივე თანმიმდევრობით განლაგდება საბჭოთა პერიოდის პირველი წლების შედეგები, შემდეგ კი ყოველი წელი გამოიყოფა ცალკე თავის სახით, სადაც უნდა მოთავსდეს ყველაფერი, რაც კი მაშინ მომხდარა.

გაზეთში ამ წერილების გამოქვეყნების დროს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ინფორმაციის ნაკლებობა, უზუსტობანი, ამბების გამოტოვება. ჩვენი თხოვნაა ყველას მიმართ, ვისთვისაც კი ძვირფასი და ახლობელია ქართული ფეხბურთის ისტორია, ვისაც კი სურს ჩვენი ფეხბურთის მატიანე სრულყოფილი და მთლიანი იქნეს, გამოგვიგზავნოს ყოველგვარი ცნობა, რომელიც კი ხელთ აქვს, მოგვაწოდოს ყველანაირი ფაქტობრივი მოგონება და შესწორება, რათა ჭეშმარიტება არ დაიკარგოს და ოფიციალურად გამოქვეყნდეს პრესაში. ყოველივე ეს შემდგომში ერთ წიგნში მოიყრის თავს და შთამომავლობას დარჩება.

ამრიგად, უახლოეს ხანებში ვიწყებთ ქართული ფეხბურთის მატიანის შექმნას, მასალების გამოქვეყნებას, მათ სისტემატიზაციას. გთხოვთ ყურადღებით იკითხოთ ისინი და უშუალო მონაწილეობა მიიღოთ წიგნის შექმნაში.

„ლელოს" რედაქცია.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

## ძველი წლის ბოლო მატჩი



29 დეკემბერს გაიმართა ერთი შეხვედრა.

ლენინგრადი. ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა — ადგილობრივმა „სპარტაკმა" დაამთავრა პირველი წრე. ბოლო მატჩი მას თბილისის „დინამოსთან" ჰქონდა. ლენინგრადელებმა გაიმარჯვეს — 90:73 (41:40).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 იანვრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 9 | 9 | 0 | 653—571 | 9 |
| ცსკა | 8 | 7 | 1 | 704—538 | 7 |
| „კალევი" (ტარტუ) | 7 | 5 | 2 | 526—508 | 5 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 8 | 4 | 4 | 627—620 | 4 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 9 | 4 | 5 | 696—684 | 4 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 7 | 3 | 4 | 505—471 | 3 |
| „დინამო" (თბილისი) | 7 | 3 | 4 | 520—572 | 3 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 7 | 2 | 5 | 476—534 | 2 |
| ასკ (კიევი) | 7 | 2 | 5 | 482—542 | 2 |
| „სტატიბა" (ვილნიუსი) | 9 | 0 | 9 | 609—768 | 0 |

## ე. რუდაკოვი — სსრ კავშირის საუკეთესო ფეხბურთელი

მოსკოვი, 31 დეკემბერი. გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" ყოველკვირეულმა დამატებამ „ფუტბოლ-ჰოკეიმ" შეაჯამა თავისი ტრადიციული წინასაახალწლო ანკეტა წლის საუკეთესო ფეხბურთელის დასადგენად. გამოკითხვაში ჟურნალ-გაზეთების, საკდესის, ახალი ამბების სააგენტოს, რადიოსა და ტელევიზიის 122 სპორტულმა ჟურნალისტმა მიიღო მონაწილეობა.

1971 წლის სეზონის მიხედვით სსრ კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულია კიევის „დინამოსა" და ქვეყნის ნაკრების მეკარე ე. რუდაკოვი, რომელმაც 298 ქულა დააგროვა.

II ადგილზე გავიდა კიევის „დინამოსა" და სსრ კავშირის ნაკრების ნახევარმცველი ვ. კოლოტოვი (204 ქულა), ხოლო III — ერევნის „არარატის" ცენტრალური თავდამსხმელი ე. მარქაროვი (61 ქულა).

ე. რუდაკოვი 29 წლისაა. 1971 წელს მან მეორედ მოიხვეჭა ჟურნალ „ოგონიოკის" პრიზი — „სსრ კავშირის საუკეთესო მეკარეს".

● ტერსკოლი, 30 დეკემბერი. სსრ კავშირის უძლიერესმა სამთო-მოთხილამურეებმა სამჭიდში საკავშირო ჩემპიონატით გააცილეს 1971 წელი. ჩემპიონთა სახელი მოიხვეჭეს მოსკოველმა გ. სიდოროვამ („ლოკომოტივი") და ლენინგრადელმა ს. გრიშჩენკომ („შრომითი რეზერვები").

● მელბურნი, 30 დეკემბერი. სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონები — მოსკოველი ო. მოროზოვა და თბილისელი ა. მეტრეველი წარმატებით განაგრძობენ ასპარეზობას „მწვანე კონტინენტზე": ისინი პირველად გავიდნენ ჩოგბურთელთა ასეთი წარმომადგენლობითი და ძლიერი შემადგენლობის საერთაშორისო ტურნირის — ავსტრალიის ღია ჩემპიონატის 8-8 უძლიერესს შორის. მეტრეველმა სძლია დევისის თასის გათამაშებაში ავსტრალიელთა გუნდის პირველ ჩოგანს რ. კეისს (6:2, 3:6, 6:4, 6:2), ხოლო მოროზოვამ — ახალი სამხრეთ უელსის შტატის ჩემპიონ ს. ირვინს — 6:1, 6:3.

● ინსბრუკი, 30 დეკემბერი. გუშინ აქ დაიწყო ტრადიციული „ოთხი ტრამპლინის ტურნე", რომელმაც პლანეტის უძლიერეს მხტომელებს — 17 ქვეყნის 98 საუკეთესო „მფრინავ მოთხილამურეს" მოუყარა თავი. ყველაზე კარგად აილო სტარტი იაპონელმა ი. კასაიამ, რომელიც ყველაზე შორსაც გადახტა და I ადგილზეც გავიდა — 245,2 ქულა (ნახტომები 94,5 და 91,5 მ). II ადგილი დაიკავა რ. შმიდტმა (გდრ) — 235,5 (93 და 90), ხოლო III — ტ. კიაუხკიომ (ფინეთი) — 229,9 (90,5 და 91). საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესომ — ი. კალინინმა V ადგილი დაიკავა — 224,6 (86 და 91). მსოფლიო ჩემპიონი გ. ნაპალკოვი VIII ადგილზეა — 222,4 (87 და 89, 5). ა. ჟეგლანოვი IX ადგილზე გავიდა — 220,0 (86 და 92). დანარჩენი საბჭოთა „მფრინავი მოთხილამურეები" ასე გამოვიდნენ: კ. წაქაძე — მე-19 ადგილი, ა. ივანიკოვი — 27-ე, ვ. ტერიჩევი — 37-ე, ს. იანინი — 64-ე (დაეცა).

## ასლი მზეები-71

● ბაქო, 30 დეკემბერი. 1971 წლის სეზონის მიხედვით აზერბაიჯანის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულია სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში ფ. ყურბანოვი. ასეთი დასკვნა გააკეთეს გაზეთ „სპორტის" მიერ ჩატარებული ანკეტის მონაწილეებმა — ამ გაზეთის მკითხველებმა. ბაქოელი არმიელი, 24 წლის ფ. ყურბანოვი უმჩატესი წონის მოჭიდავეა, საერთაშორისო სპორტის ოსტატი და სსრ კავშირის ნაკრების წევრი გახლავთ.

● მოსკოვი, 30 დეკემბერი. სსრ კავშირის ჰოკეის ფედერაციამ საიუბილეო სამახსოვრო ნიშნით დააჯილდოვა 13 ჰოკეისტი, რომლებმაც ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში 100 და მეტი მატჩი ჩაატარეს. ესენი არიან: ბ. ალექსანდროვი, ა. ალმეტოვი, ვ. ვიკულოვი, ვ. დავიდოვი, ვ. კუზკინი, ვ. კონოვალენკო, კ. ლოკტევი, ბ. მაიოროვი, ა. რაგულინი (მან ნაკრებში ყველაზე მეტჯერ — 186-ჯერ ითამაშა), ი. რომიშევსკი, ვ. სტარშინოვი, ა. ფირსოვი და ვ. იაკუშევი. სსრ კავშირის ნაკრებში 50 და მეტ მატჩში მონაწილეობისთვის ნიშნით დაჯილდოებულია 31 ჰოკეისტი, მათ შორის, ვ. ბობროვი, ვ. შუვალოვი, ე. ბაბიჩი, ვ. იურზინოვი, ე. მაიოროვი, ნ. სოლოგუბოვი, ი. ტრეგუბოვი.

## ეს, ვინ ჩვენსაცაა

ლ. ასატუროვა (მშვილდოსნობა). სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი — მოიგო ოქროს 3 მედალი. სსრ კავშირის თასის მფლობელი.

თ. ლეკვეიშვილი (ცურვა). სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი — მოიგო ოქროს 2 მედალი გულაღმა ცურვაში.

დ. შანიძე (ძალოსნობა). სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი ქვემსუბუქ წონაში. მოიგო ოქროს 1 დიდი და 2 მცირე მედალი.

ა. მოშიაშვილი (მძლეოსნობა). სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი 110 მეტრზე თარჯრბენში, სსრ კავშირის რეკორდის თანაავტორი.

ა. მატკავა (ნიჩბოსნობა). სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი.

ვ. კრატასიუკი (ნიჩბოსნობა). სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი.

ზ. ხოფერია (ნიჩბოსნობა). სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი.

ნ. ჩარაევი (ნიჩბოსნობა). სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი.

მ. ბოგუსი (ტანვარჯიში). სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი ძელზე ვარჯიშში.

ნ დრონოვა (ტანვარჯიში). სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის მოზარდთა ტურნირის აბსოლუტური ჩემპიონი. სოციალისტური ქვეყნების მოზარდ ტანმოვარჯიშეთა ტრადიციული შეჯიბრების პირველი ლაურეატი. დიდ წარმატებას მიაღწია იაპონიაში.

ზ. საკანდელიძე (კალათბურთი). თამაშობდა სსრ კავშირის ნაკრებში, რომელმაც ესენში ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

მ. ქორქია (კალათბურთი). მონაწილეობდა სსრ კავშირის ნაკრებში, რომელმაც ესენში ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ა. მეტრეველი (ჩოგბურთი). ლუქსემბურგში მესამედ გახდა ევროპის ჩემპიონი მოყვარულთა შორის. სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი. ავსტრალიაში მოიგო ხუთი დიდი საერთაშორისო ტურნირი, მათ შორის, ვიქტორიის შტატის ღია ჩემპიონატი. არაბეთისა და პოლონეთის ჩემპიონი. გაიმარჯვა, აგრეთვე, ბევრ სხვა საერთაშორისო ტურნირში.

ნ. გაფრინდაშვილი (ჭადრაკი). გაიმარჯვა 8 მარტისადმი მიძღვნილ ბელგრადის საერთაშორისო ტურნირში: მსოფლიო ჩემპიონმა ცამეტივე პარტია მოიგო. გოგლიძის მემორიალში მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში პირველმა შეასრულა ვაჟთა შორის სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ნ. ალექსანდრია (ჭადრაკი). I ადგილი საზონათშორისო ტურნირში.

ვ. სანეევი (მძლეოსნობა). სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი სამხტომში. უნივერსიადის ჩემპიონი.

ტ. ქლენტი (სასტენდო სროლა). მსოფლიოს გუნდური ჩემპიონი მრგვალ სტენდზე.

ო. ფხაკაძე (ველოსპორტი). სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი. მოიგო „კოპენჰაგენის დიდი პრიზი" სპრინტში, რომელშიც მონაწილეობდნენ ავსტრიის, იტალიის, ინგლისის, გდრ-ის, იაპონიისა და პოლონეთის უძლიერესი ველოსიპედისტები.

კ. წაქაძე (სამთო-სათხილამურო სპორტი). სსრ კავშირის ჩემპიონი საშუალო ტრამპლინიდან ხტომაში. მოიგო სსრ კავშირის თასი.

## [illegible] იყო... 1945

◆ მელბურნი, 31 დეკემბერი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატში აქ მოასპარეზე თბილისელმა ა. მეტრეველმა დაამარცხა „მწვანე კონტინენტის" ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ჯ. კუპერი (6:7, 6:2, 6:3, 6:4) და ერთეულ ვაჟთა თანრიგის ნახევარფინალში გავიდა. მოსკოველმა ო. მოროზოვამ წააგო ავსტრალიელ ჰ. გოურლეისთან — 2:6, 1:6.

◆ ჰასტინგსი, 31 დეკემბერი. ა. ალიოხინის ამასწინანდელ მემორიალში ერთ ერთი გამარჯვებული, 20 წლის ლენინგრადელი დიდოსტატი ა. კარპოვი ასევე წარმატებით თამაშობს აქ მიმდინარე ტრადიციულ საახალწლო საჭადრაკო ტურნირში. II ტურში ამერიკელი დიდოსტატის რ. ბირნის დამარცხების შემდეგ მას ქულანახევარი დაუგროვდა და თავის თანატოლთან, საერთაშორისო ოსტატ უ. ანდერსონთან (შვეცია) ერთად ლიდერობა იგდო ხელთ. II ტურში ლენინგრადელმა ვ. კორჩნოიმ სძლია ინგლისელ პ. მერკლანდს, მაგრამ I ტურიდან გადადებულ პარტიაში ანდერსონისგან მარცხის სიმწარე იწვნია.

● ამსტერდამი, 30 დეკემბერი. აქ დამთავრდა ასუჭრიან შაშში მსოფლიოს ჭაბუკთა I არაოფიციალური ჩემპიონატი. საუცხოოდ ითამაშა დონეცკელმა ოსტატმა 17 წლის ნ. მიშჩანსკიმ, რომელმაც წაუგებლად განვლო როგორც შესარჩევი ტურნირი, ისე ფინალური ეტაპი და პირველობაც დაისაკუთრა. წარმატებას მიაღწია 15 წლის თბილისელმა მოსწავლემ ბ. შავერდიანმაც — მან III საპრიზო ადგილი დაიკავა.

● კავგოლოვო, 30 დეკემბერი. სსრ კავშირის უძლიერეს ორჭიდელთა აქ გამართულმა შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია: მოასპარეზეები ხომ საპოროს საგზურებისთვის იბრძოდნენ! ტურნირი სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის მიერ ახლახან დამტკიცებული ახალი წესებით ჩატარდა: ორჭიდელებს ტრამპლინიდან სამი ჩასათვლელი ხტომის საშუალება ეძლეოდათ, ქულები კი ორი საუკეთესო ცდის მიხედვით ერიცხებოდათ. ტრამპლინიდან ხტომაში ბადალი არ ჰყავდა ა. ხაიგონენს (ლენინგრადის ოლქი), რომელიც, ამავე დროს, ყველაზე შორს — 73,5 მეტრზე გადახტა (214,0 ქულა). რბოლაში გაიმარჯვა ლენინგრადელმა ვ. დოლგანოვმა, მაგრამ, საბოლოოდ, I ადგილზე გავიდა პერმელი ა. ნოსოვი. იგი მეორე იყო ტრამპლინიდან ხტომაში (210,1 ქულა) და V-VI ადგილები გაიყო სათხილამურო რბოლაში.






# ოლიმპიური ჩირაღდანი დაიძრა

28 დეკემბერს საბერძნეთის დაბა ოლიმპიაში დასაბამი მიეცა ოლიმპიური ჩირაღდნის 13680-კილომეტრიან გზას XI „თეთრი ოლიმპიადის“ დედაქალაქისკენ — ჰოკაიდოს კუნძულზე მდებარე იაპონურ ქალაქ საპოროსკენ.

ამ დღეს ოლიმპიური ჩირაღდნის ანთების ტრადიციული ცერემონიალი საბერძნეთის ეროვნული თეატრის მსახიობმა მარია მოსკოლიუმ შეასრულა: ლინზის დახმარებით მზის სხივებით მოუკიდა ცეცხლი ზეთისხილის რტოს ოლიმპიაში მდებარე ზევსის ტაძრის ნანგრევებზე. მერე ამ ცეცხლით მოსკოლიუმ ჩირაღდანი აანთო.

XI ზამთრის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, პრინცი ტაკედა ჩირაღდანს თანამედროვე ოლიმპიადების ფუძემდებლის პიერ დე კუბერტენის ძეგლთან დახვდა.

შემდგომ ბერძენმა მორბენალმა, ოლიმპიის მკვიდრმა 20 წლის კირიკილიტსისმა ჩირაღდანი ზევსის ტაძრის ნანგრევებიდან ავტომობილამდე მიიტანა.

ჩირაღდნის გზა ათენისკენ წავიდა, რომლის თეთრი მარმარილოს სტადიონზე 1896 წელს გაიმართა I თანამედროვე ოლიმპიური თამაშები.

აქედან ჩირაღდანი იაპონიის საავიაციო კომპანიის სარეისო თვითმფრინავში „გადაჭდება“ და ჩავა ტოკიოს, საიდანაც იაპონელი მორბენლები მას საპოროში წაიღებენ.

# ფანტაზიაც და სინამდვილეც

## საახალწლო რეპორტაჟი

დღეს ახალი წლის პირველი დღეა. ყველგან სიხარულს, საზეიმო განწყობილებას დაუსადგურებია. ზეიმობენ საქართველოს მშრომელები, რომლებმაც სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრეს უკვე ისტორიად ქცეული 1971 წელი.

რესპუბლიკის სპორტსმენებსაც ბევრი აქვთ სასიხარულო და სასიამოვნოდ მოსაგონარი. ისინი თბილისის სპორტის სასახლის ვრცელ დარბაზში შეკრებილან ახალი წლის სადღესასწაულო მეჯლისზე და სიამაყით შესცქერიან სარბიელის ცენტრში ჭერამდე აღმართულ ნაძვის ხეს, რომლის ტოტებზე თვალისმომჭრელად ბრწყინავენ ჩვენი სახელგანთქმული სპორტსმენების მიერ მოხვეჭილი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

გვსურს ჩვენს მკითხველებს მივულოცოთ ახალი წლის დადგომა და მოვიწვიოთ ისინი სპორტის სასახლიდან ტელერეპორტაჟის საყურებლად.

სინათლე ქრება, პროჟექტორები ანათებენ გულშემატკივრებით, სპორტსმენებით სავსე ტრიბუნებს. საზეიმო საღამოს დიქტორი თავის ადგილს იკავებს და...

— ყურადღება, ყურადღება! ჩვენი მიკროფონები დგას თბილისის სპორტის სასახლეში. ვიწყებთ ტრადიციულ რეპორტაჟს. ასეთი ზღვა ხალხი ამ დარბაზს ჯერ არ ახსოვს. ეს რაა! აბა, ნახეთ ზეიმზე დასწრების რამდენი მსურველი ირევა სასახლის ათობით კართან. მაგრამ დღევანდელ ზეიმზე დასწრების უფლება ხომ მხოლოდ ღირსეულთ აქვთ, მათ, ვინც გამარჯვებებით ასახელა მშობლიური რესპუბლიკა. იწყება საზეიმო მარში. დარბაზში შემოდის სპორტსმენთა დიდი კოლონა, რომელსაც მოუძღვიან ჩვენი ფალავნები — მსოფლიო ჩემპიონები ლევან თედიაშვილი და შოთა ლომიძე, საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონები, ისევ ფალავნები რომან რურუა, ჯემალ მეგრელიშვილი, სევერიან ქარელი, გურამ გოგოლაური, ტარიელ ალიბეგაშვილი, ძალოსანი დიტო შანიძე, მძლეოსნები ვიქტორ სანეევი, ანატოლი მოშიაშვილი. მეგობრებო, გულახდილად უნდა გითხრათ, რომ დღევანდელ ზეიმზე მხოლოდ ეს ორი მძლეოსანი დაუშვეს, დანარჩენები თავიანთ უამრავ მწვრთნელთან ერთად სპორტის სასახლის წინ დადგმული ტელევიზორების ეკრანებზე უყურებენ ჩვენი დღესასწაულის მსვლელობას. მათს ბედს იზიარებენ თანამედროვე ხუთჭიდელები, მოკრივეები, ფრენბურთელი ქალები და ვაჟები, ცხენოსნები, წყალში მხტომელები...

საკვირველი რამ ხდება: სარბიელზე შემოიჭრნენ ველოსიპედისტები. დარბაზი აზმაურდა. ტრიბუნიდან გაისმის შეძახილები:

— გააძევეთ სარბიელიდან!

— ამათ ჩვენს ზეიმზე რა უნდათ! მეგობრებო, სპორტსმენები, ვის მიმართაც ასე გაშმაგდა მაყურებელი, ჩვენი საგზატკეცილო ველორბოლის წარმომადგენლები არიან, რომლებმაც გასულ სპარტაკიადაში XVI ადგილი დაიკავეს და ახლა რაღაც სასწაულით გაჩნდნენ აქ. ასეთი ბრძოლისუნარიანობა სპარტაკიადაში რომ გამოეჩინათ, დამიჯერეთ, უკეთეს ადგილზე გავიდოდნენ. საქმეში მილიცია ჩაერია. ველოსიპედისტები სარბიელიდან გაყავთ.

განვაგრძობთ რეპორტაჟს. ცენტრალურ ტრიბუნას უახლოვდებიან ჩვენი ტანმოვარჯიშეები. მიხეილ ბოგუსსა და ამირან ნოზაძეს ხელში აყვანილი მოჰყავთ ნორჩი ნინა დრონოვა. სამეულს გვერდით მოჰყვებიან რუსუდან სიხარულიძე და პაატა შამუგია. დანარჩენი ტანმოვარჯიშეები არ ჩანან, განა მარტო აქ, საკავშირო სარბიელზეც კი. დარბაზში კვლავ ჩაქრა სინათლე. აი, განათდა და თქვენ ხედავთ სახელდახელოდ მოწყობილ საცურაო აუზს. აქ მხოლოდ ჩვენი ოთხი მოცურავეა — თინათინ ლეკვეიშვილი, მარია გორბუნოვა, იგორ ლისეცკი და ვიქტორ კრასკო. დანარჩენები? მათზე არ ღირს ლაპარაკი.

...მშვილდიდან გატყორცნილი ისრები შხუილით აიჭრნენ ზევით და თაღზე გაკეთებული სამიზნის ცენტრში დაიდეს ბინა. თქვენ ალბათ მიხვდით, სარბიელზე არიან ლიუბოვ ასატუროვა და ქეთევან ლოსაბერიძე. ვაჟები ჭეოჯერობით არ ჩანან. საერთოდ, ასეთი რამ საქართველოს ისტორიას არ ახსოვს, რომ გამოჩენილი მოისრენი მხოლოდ ქალები ყოფილიყვნენ.

ზეიმი გრძელდება. გამოჩნდა ველოტრეკის ვეფხვი ომარ ფხაკაძე. იგი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონია, ბევრ საერთაშორისო ასპარეზობაში გამარჯვებული. მაყურებელი ახმაურდა. ომარს სთხოვენ თავისი ოსტატობა აქ მაინც აჩვენოს ხალხს. ჩვენი დედაქალაქის სპორტის გულშემატკივრებს მისი გამოსვლა ჯერ არ უნახავთ ახალი ველოტრეკის გაჭიანურებული მშენებლობის გამო. მშენებლობა თუ ამ ტემპით გაგრძელდა, ჩვენ კი არა, ჩვენი ჩვენი მომავალი თაობაც ვერ მოესწრება ახალი ველოტრეკის საზეიმო გახსნას.

აღტაცებით ხვდებიან ჩვენს ნიჩბოსნებს, რომელთაც მთელი ქვეყანა აალაპარაკეს საკავშირო სპარტაკიადაში ბრწყინვალე გამოსვლებით. თავიანთი ოქროს ნავები მოაქვთ ავერი ჩატკავას, ვიქტორ კრატასიუკს, ზურაბ ხოფერიას, ნოდარ ჩარაევს.

ჩვენს მოფარიკავეებს ზეიმზე ახალგაზრდები კი არა (რა პირით უნდა გამოჩენილიყვნენ), ვეტერანები წამოუგზავნიათ, რომელთაც მკერდი ჭრავალი ჯილდოთი აქვთ დამშვენებული.

სპორტის სასახლეს ეწვივნენ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები, გასული საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები.

სარბიელზე შემოდის ვეტერან სპორტსმენთა კოლონა. მწყობრი ნაბიჯით მოდიან ჩვენი სახელოვანი ადამიანები, რომლებმაც დიდების შარავანდედით შემოსეს ქართული სპორტი. დახეთ საკვირველებას! სად არის ჩვენი სათაყვანო ბორის პაიჭაძე? თუმცა გასაგებია: „დინამოს“ სტადიონის მშენებლობის გადამკიდე, რა გუნებაზე უნდა იყოს და რა გასახარი უნდა უთხრას ამ გულმართალმა კაცმა აქ შეკრებილთ?

სპორტსმენები ტოვებენ სარბიელს. მხოლოდ ერთი ჯგუფი, ასე სამოცამდე კაცი, არ გადის სპორტის სასახლის მთავარი ასპარეზიდან. ესენი არიან სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდების კანდიდატები, რომელთაგან ბევრმა საბჭოთა სპორტის ღირსება უნდა დაიცვას საპოროსა და მიუნჰენის ოლიმპიადებში. ისინი ფიცს დებენ, რომ არ შეარცხვენენ ჩვენი რესპუბლიკის სახელს. ეჭვი არ გვეპარება, რომ ასეც იქნება.

ამით ვამთავრებთ ჩვენს გადაცემას.

რეპორტაჟი მიჰყავდა **სპარტაკ ოლიმპიაძეს.**

---

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ მოაწყო ტრადიციული საახალწლო ანკეტა რესპუბლიკის 1971 წლის ათი უძლიერესი სპორტსმენის გამოსავლენად.

გთავაზობთ ანკეტის შედეგებს: ლ. თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ა. მეტრეველი (ჩოგბურთი), შ. ლომიძე (თავისუფალი ჭიდაობა), ნ. დრონოვა (სპორტული ტანვარჯიში), ლ. ასატუროვა (მშვილდოსნობა), თ. ლეკვეიშვილი (ცურვა), ა. მოშიაშვილი (მძლეოსნობა), ვ. სანეევი (მძლეოსნობა), ზ. საკანდელიძე (კალათბურთი), დ. შანიძე (ძალოსნობა).

საინტერესოა, რომ პირველი ხუთეული უკლებლივ ყველა ანკეტაში იყო აღნიშნული. სასიხარულოა 14 წლის მოსწავლის, ტანმოვარჯიშე ნ. დრონოვას წარმატება: 1971 წელს ნორჩი თბილისელი სპორტსმენი ხომ ტრიუმფით გამოდიოდა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში. ანკეტაში პირველად მოხვდა საქართველოში სპორტის ყველაზე ახალგაზრდა სახეობის — მშვილდოსნობის წარმომადგენელი ლ. ასატუროვა. 1971 წელს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ყველა გააოცა ფენომენალური შედეგებით, როცა სამიოდე თვის მანძილზე გაიარა გზა ახალბედობიდან სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატობამდე.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია თავისი ანკეტის ლაურეატებს უსურვებს ახალ-ახალ წარმატებებს სპორტულ სარბიელზე, სიკეთესა და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.

როგორც მუდამ, დასახელებული არიან ყველაზე „ზუსტი“ ჟურნალისტები, რომელთა შეხედულებაც ყველაზე მეტად დაემთხვა საერთო აზრს. ამჯერად ათივე გამარჯვებული დასახელებულია სამ ანკეტაში, რომლებიც ეკუთვნით გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ თანამშრომლებს — სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგეს ბ. კამენსკის, ინფორმაციის განყოფილების გამგეს ე. გასპაროვს და ლიტმუშაკ დ. მჭედლიძეს.

(საქინფორმ).

# ქა, ვინ ჯობნის ამას

1971 წელი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის წელი იყო, ამიტომაც ყველა ჩვენი შარშანდელი წარმატება ამ დიდი საზომით იზომება. ჩვენ უკვე ჩამოვთვალეთ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ოქროს მედალოსნები. ახლა გთავაზობთ მეორე და მესამე პრიზიორთა სიებსაც:

**ვერცხლის პრიზიორები.** ო. ტატიშვილი, ო. ბლიაძე (კლასიკური ჭიდაობა), ზ. შეყრილაძე, ნ. ხოხაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ტ. ულენტი (სასტენდო სროლა), ლ. ასატუროვა (მშვილდოსნობა), ი. ლისეცკი (ცურვა).

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის მოზარდთა ტურნირის ვერცხლის პრიზიორები: პ. შამუგია, ნ. დრონოვა, ვ. ვასილიევა, ს. დუდა, ქ. გოგიჩაიშვილი, ი. მარეხაშვილი, ი. მუზაშვილი (ტანვარჯიში), ს. ხრიპკო, ბ. პრესნოვი (მძლეოსნობა).

**ბრინჯაოს პრიზიორები:** თ. მაჭავარიანი (კლასიკური ჭიდაობა), ი. დელა-როსა (მძლეოსნობა), ვ. ბორჩაშვილი, ნ. ექვთიმიშვილი, ა. მუზაევი, გ. ონაშვილი (სამბო), გ. ყვარელაშვილი, რ. მარსაგიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ა. ნოზაძე (ტანვარჯიში), ვ. კრასკო (ცურვა), დ. შანიძე, დ. გაბაძე (ძალოსნობა), ქ. ლოსაბერიძე, გ. რიჟამაძე, გ. პაიკიძე, ლ. ასატუროვა (მშვილდოსნობა), ა. მატკავა, ვ. კრატასიუკი, ი. ხუბერაშვილი, ა. მაქსიმენკო (ნიჩბოსნობა), გ. ნიკურაძე, ა. ქაფიანიძე, ნ. ფილიევი, ბ. ხურციძე, ჯ. გოგლიჩიძე, ა. კაპანაძე, ო. ბერაია, ს. ბარიშვილი, ო. ბერაძე (აკადემიური ნიჩბოსნობა).

მოზარდთა ტურნირში ბრინჯაოს 2 მედალი მოიპოვა ტანმოვარჯიშე პ. შამუგიამ.

# ჟურნალისტები ლაურეატებს ულოცავენ



ლ. თედიაშვილი



ა. მეტრეველი



შ. ლომიძე



ნ. დრონოვა



ლ. ასატუროვა



თ. ლეკვეიშვილი



ა. მოშიაშვილი



ვ. სანეევი



ზ. საკანდელიძე



დ. შანიძე

# „ნიუ-იორკ ტაიმსმაც“ აღნიშნა

— თქვენი თანამემამულის ქება ამოვიკითხე დღეს „ნიუ-იორკ ტაიმსში“. მესიამოვნა და გამიკვირდა კიდეც, — უთხრა კმაყოფილად მოლიმარმა ერთ-ერთმა მასპინძელმა შალვა ვაშალომიძეს, საქართველოს ხორცისა და რძის სამინისტროს კოლეგიის წევრსა და ტექნიკური განყოფილების გამგეს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში საქმიანი მივლინებით იყო ჩასული.

როცა სტუმარს გაკვირვება შეატყო, ამერიკელმა განაგრძო:

— იცით რატომ გამიკვირდა? ეს 80-გვერდიანი ყოველდღიური და დიდად პოპულარული გაზეთი მაინცდამაინც არ სწყალობს ჭადრაკს, ახლა კი ამოდენა წერილი მიუძღვნა ქართველი მოჭადრაკე ქალის გამარჯვებას. სამწუხაროდ, ვერ დავიმახსოვრე ამ მოჭადრაკის გვარი. ოღონდ მსოფლიო ჩემპიონი არ უნდა იყოს, ვინაიდან ნონა გაფრინდაშვილს მეც ვიცნობ. მოგილოცავთ, ბატონო!

ქართველმა სტუმარმა მადლობა გადაუხადა და გაზეთი მოიკითხა. „მივხვდი, რომ ნანაზე იყო საუბარი. სიამაყის გრძნობამ შემიპყრო. მალე გაზეთიც მომიტანეს, თუმცა შორეულ სოფელში ვიყავით“, — იხსენებს პატივცემული შალვა.

გაზეთის 44-ე გვერდზე დასტამბულია ცნობილი ვეტერანი ამერიკელი საერთაშორისო ოსტატის ი. გოროვეცის წერილი, მიძღვნილი ნ. ალექსანდრიასა და მ. ლაზარევიჩის მატჩისადმი.

გოროვეცი ამერიკული საჭადრაკო ჟურნალის „ჩესს რევიუს“ პატრონი და რედაქტორია. იგი კარგად იცნობს მსოფლიოს საჭადრაკო ცხოვრების მაჯისცემას. ამიტომ მისი წერილი „ნიუ-იორკ ტაიმსში“ შემთხვევით არ მოხვედრილა.

ღვაწლმოსილი მოჭადრაკე აღწერს მატჩის პერიპეტიებს, აანალიზებს II და IV პარტიებს. იგი აღნიშნავს, რომ ჭადრაკის დედოფლის ვინაობის საკითხი გადაწყვეტილია: პრეტენდენტთა მატჩში ნ. ალექსანდრია ა. კუშნირს შეხვდება, ამიტომ მსოფლიო ჩემპიონი კვლავ საბჭოთა მოჭადრაკე იქნება.

„მის ალექსანდრიას თამაშმა, საბრძოლო შემართებამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა. შესანიშნავი სტარტის მერე იგი ცვალებადი წარმატებით იბრძოდა, რითაც ვერ ისარგებლა მაესტრო ლაზარევიჩმა. მატჩის ბედი ფაქტიურად მეშვიდე პარტიაში გადაწყდა, რომელიც ქართველმა მოჭადრაკემ მოიგო“, — წერს გოროვეცი.

დასასრულს ამერიკელი ოსტატი შენიშნავს, რომ ქალთა ჭადრაკი სულ უფრო ფართო საზოგადოებრიობის ყურადღებას იზიდავს.

**თ. ნინოშვილი.**

ჭადრაკი

## ლაპარაკობენ სპასკი და ფიშერი

იუგოსლაველმა დიდოსტატმა ს. გლიგორიჩმა ბელგრადის რადიოსთვის ტელეფონით ინტერვიუ ჩამოართვა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონს ბ. სპასკისა და ამ წოდების პრეტენდენტს ბ. ფიშერს.

სპასკიმ თქვა, რომ მატჩის დაწყება ივნისის მიწურულს იქნებოდა კარგი. ფიშერს 30 ივნისი ყველაზე ადრინდელ ვადად მიაჩნია.

გათამაშდება თუ არა ყველა 24 პარტია? სპასკიმ თქვა, რომ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას აპრილ-მაისში შეძლებს. ფიშერმა განაცხადა, რომ სათუოა მატჩი ბოლომდე გაგრძელდეს. მან აქვე დასძინა: „სურვილი მაქვს, რაც შეიძლება კარგად მოვემზადო. ჩემი პასუხისმგებლობა უდიდესია. ხალხი ჩემგან ბევრსელის“.

გლიგორიჩმა სპასკისა და ფიშერს გააცნო მატჩის ჩატარების ადგილის შერჩევის ზოგიერთი დეტალი, რაც მან ფიდე-ს პრეზიდენტ მ. ეივესთან საუბარში შეიტყო. ეივეს აზრით, მატჩის მასპინძლობის ყველაზე სერიოზულ კანდიდატებად ჰოლანდია და იუგოსლავია გვევლინებიან. გლიგორიჩი შეეკითხა მომავალ მეტოქეებს, თუ რომელი ქვეყანა აძლევთ ხელს მათ ყველაზე უფრო. აი, რა უპასუხეს მათ:

სპასკი: ყველაზე უფრო ხელსაყრელია ქვეყანა, რომელიც ჰავით ჩემს მშობლიურ ლენინგრადს წააგავს. ამ თვალსაზრისით ყველაზე იდეალური ადგილი სკანდინავია იქნებოდა.

ფიშერი: ვინ და რამდენ ფულს შემომთავაზებს ჯილდოდ?.. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე ფულია. და მხოლოდ ამის შემდეგ დგება ჰავის ჯერი. ვიმეორებ, ფული ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავია.

სპასკი: რას ფიქრობს ფიშერი, თუ მატჩი იუგოსლავიის რომელიმე ქალაქში ჩატარდება?

ფიშერი: თანახმა ვარ იმ პირობით, თუ იქ ყველაზე დიდ თანხას შემომთავაზებენ.

შემდეგ სპასკიმ თქვა, რომ მისი სეკუნდანტი უწინდებურად ი. ბონდარევსკი იქნება. ფიშერს ეს საკითხი ჯერ არ გადაუწყვეტია.

დასასრულს გლიგორიჩმა იკითხა, მოელიან თუ არა ისინი, რომ ახლო მომავალში ვილაც მესამე შეძლებს უმაღლესი ტიტულისთვის ბრძოლაში ჩაბმას?

„მოჭადრაკეები ნელა მწიფდებიან, — თქვა სპასკიმ, — და ბევრი დროა საჭირო საიმისოდ, რომ კიბის საფეხურებს თავში მოექცე“.

ფიშერმა დაასახელა ლარსენი, კორჩნოი და პეტროსიანი.

### ხალხური სიბრძნე და... ფეხბურთი

მირბის, მორბის გაბრიელი, არავინ ჰყავს მადლიერი (მსაჯი).

როგორც დამიკრავ ფანდურსა, მეც ისე დაგიროკდებიო (მაყურებელი და ფეხბურთელი).

სხვა სხვის ომში ბრძენიაო (კომენტატორი).

მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა (ბურთი და ძელი).

ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო (კუთხური).

ალხანა წავიდა, ჩალხანა მოვიდაო (მოთამაშის შეცვლა).

ვაი, ბიჭო ვახუშტიო, ეს რა ბიჭი გაფუჭდიო (ცსკა).

ცხენიდან გადმოხტა და ვირზე შეჯდაო (მოსკოვის „დინამო“).

შეადარე მსხალი პანტას (60-ანი და 70-ანი წლების მოსკოვის „ტორპედო“).

გალმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო („ნევთჩი“).

ორი ქაჩალი სავარცხლისთვის ჩხუბობდაო („ფახთაქორი“ და „შახტიორი“).

მწყერს ერთხელ ელირსა ხეზე შეჯდომა და ტოტი მოუტყდაო (ორჯონიკიძის „სპარტაკი“).

**ა. ჯალიაშვილი.**

წითელი წყარო.

## ალან ბოლი 220 ათასად გაყიდეს

ალან ბოლს, გამოჩენილ ინგლისელ ფეხბურთელს, ყველგან იცნობენ. 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში იგი ინგლისელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ლივერპულში ასეთი პოპულარობით ადგილობრივი „ევერტონისა“ და „ლივერპულის“ არც ერთი ფეხბურთელი არ სარგებლობს.

22 დეკემბერს გამოცხადდა, რომ ბოლი უკვე ლონდონის „არსენალის“ მოთამაშეა და ამ ცნობამ ბრიტანული ფეხბურთის სამყაროში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მაგრამ როცა გაზეთებმა დაასახელეს თანხა, რომელიც „არსენალმა“ გადაუხადა „ევერტონს“ ამ ფეხბურთელში, ეს ამბავი სენსაციად იქცა. ბოლის ფასი 220 ათასი გირვანქა სტერლინგია, რაც ბრიტანეთის ფეხბურთის ისტორიაში რეკორდად უნდა ჩაითვალოს (აქამდე რეკორდი ნახევარმცველ მ. პიტერსს ეკუთვნოდა, რომლისთვისაც ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ „ვესტ ჰემ იუნაიტედს“ 200 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა).

26 წლის ა. ბოლი, რომელსაც „წითურ ეშმაკსაც“ უწოდებენ, 1966 წლიდან თამაშობს „ევერტონში“, სადაც „ბლექპულიდან“ მოვიდა (ბოლი მაშინაც საკმაოდ ძვირად ფასობდა — 110 ათას გირვანქა სტერლინგად). 7 წლის განმავლობაში ბოლმა ნაკრებში 53 მატჩი ჩაატარა.

„ევერტონის“ მწვრთნელმა ჰ. კატერიკმა განაცხადა: „როცა „არსენალისგან“ ასეთი წინადადება მივიღეთ, თანხა იმდენად მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ, რომ ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელი ამ გუნდს დავუთმეთ“.

„არსენალის“ მწვრთნელმა ბ. მიმ ჟურნალისტებს უთხრა: „1966 წლიდან ბოლს თვალს არ ვაცილებ. წლეულს იგი ცოტა სუსტად თამაშობს და აზრად მომივიდა, მადლი „ევერტონს“ შევთავაზო ეს საქმე, იქნებ გაჭრას-მეთქი. ასეც მოვიქეცი და არ შევმცდარვარ. წარმოდგენილი მაქვს, რამდენი კლუბის ხელმძღვანელი იკვნეტს ტუჩებს. აბა, ვის გაუხარდება, რომ მისმა მეტოქემ მსოფლიო კლასის ფეხბურთელი იგდოს ხელთ, ბოლი კი ნამდვილად ასეთია. მას აქვს შესანიშნავი თვისება — ყოველთვის სწყურია მოგება და საამისოდ თავს არ ზოგავს. ტექნიკურადაც ბოლი, ჩემი აზრით, უნაკლოა“.

ამ დღეებში ბოლი უკვე „არსენალის“ შემადგენლობაში უნდა შეხვდეს „ევერტონს“. როცა ჟურნალისტებმა ჰკითხეს, რას ფიქრობს ამის თაობაზე, ბოლმა უპასუხა: „ეს ჩემთვის სასიხარულო დღე არ იქნება. „ევერტონი“ საუკეთესო კლუბია და ფანატიკური გულშემატკივრებიც ჰყავს. როცა მითხრეს, უნდა წახვიდეო, მაინცდამაინც არ მესიამოვნა, მაგრამ პროფესიონალი ვარ და მივდივარ იქ, სადაც ჩემი ოჯახის ინტერესები მოითხოვს“.

ბრიტანეთის ფეხბურთის დიდ ბიზნესში კიდევ ერთი დიდი „გარიგება“ მოხდა. ამჯერად რეკორდსმენი ალან ბოლია. ვინ იქნება შემდეგი?





მაშ ყველა დათვი დათვია? ამ ჩვენს მეგობარ დათუნას თავისი ბანჯგვლიანი ძმებივით როდი ჰგონია „ტანის მოუქნელობა და მოუხრელობა დარბაისლობის გვირგვინიაო“. იგი ჩვენი საუკუნის ლვიძლი შვილია. უკანა ტოტებზე შემდგარს გულში ბურთი ჩაუხუტებია და იცით, რას ფიქრობს? მე ხომ დათვი ვარ და თქვენ კაცნი, აბა გამოდით, თუ ჭიჭები ხართ, საახალწლოდ ბურთაობაში გამეჯიბრეთო.

ფიქრობს დათუნა და „ამ ფიქრის დროს გოგრის ტოლა ნერწყვსა ჰყლაპავს...“

პატარა გორილამ საახალწლოდ ბევრი საჩუქარი მიიღო თავისი მუდმივი და ულევი ქომაგებისგან, მაგრამ ეს ერთი, თუმცა არც სასმელია და არც საჭმელი, მაინც ყველაფერს ურჩევნია. „მე ჩემპიონი ვარ“, — ფიქრობს გორილა და ნაჩუქარი ბურთი ამაყად ჩაუბღუჯავს.

ადამიანებო, ვაპატიოთ ჩვენს შორეულ ნათესავს ეს პატარა პატივმოყვარეობა!

**ც. ნიკოლაიშვილი.**

„კამერა პრესის“ (ლონდონი) ფოტოები.

ასეც ხდება!

## ციხიდან... ოლიმპიადაზე?

ვერი პარდიუ, 134-კილოგრამიანი ძალოსანი, რომელსაც უსაფუძვლოდ როდი თვლიან დიდ ბრიტანეთში ყველაზე ღონიერ ადამიანად, იმედოვნებს ქვეყნის ნაკრებში მოხვედრას და მიუნხენის ოლიმპიადის სარბიელზე გამოსვლას. ამაში საკვირველი არაფერი იქნება. ასეა თუ ისე, ტერი მართლაც პირველია ინგლისელ ძალოსანთა შორის, ედინბურგში ბრიტანეთის თამაშების ვერცხლის პრიზიორია. თუ არა მან, მაშ ვინ უნდა დაიცვას ოლიმპიურ თამაშებში „იუნიონ ჯეკის“ (ბრიტანეთის დროშის) სპორტული ღირსება?

მაგრამ საქმე ისაა, რომ პარდიუ ამჟამად პატიმარია: ოთხწლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი ლიტონის ხეიფის გატეხვაში მონაწილეობისთვის, რომლის შედეგადაც 10 ათასი გირვანქა სტერლინგი გაიტაცეს.

ბრიტანეთის სამოყვარულო ძალოსნური ასოციაციის მდივანი ვ. ჰოლანდი, რომელმაც ტერი ციხეში ინახულა, იმედს არ კარგავს. იგი იმედოვნებს, რომ თამაშების დაწყების მომენტისთვის შინაგან საქმეთა მინისტრი შეიწყალებს რეკორდისტ ძალოსანს სამაგალითო ყოფაქცევისთვის. რაც შეეხება შესარჩევ შეჯიბრებას, რომელშიც პატიმარი პარდიუ, ბუნებრივია, ვერ გამოვა, მას შეცვლის ინგლისის ციხეების ძალოსან-პატიმართა ჩემპიონატი. უნდა ითქვას, რომ მათი რიცხვი პატარა როდია: სამოყვარულო ასოციაციის მიერ აღნუსხული ყოველი მეოცე ძალოსანი შტანგით ვარჯიშს იწყებდა... ციხეში.

რაც შეეხება ოლიმპიადისთვის ტერის მომზადების პირობებს, იგი ციხეში უკეთესია, ვიდრე გარეთ — ასე მიაჩნია ჰოლანდს. პატიმარი პარდიუ ყოველდღიურად ღებულობს რძის დამატებით რაციონს, ციხის სპორტულ დარბაზში ვარჯიშისთვის ყოველივე აუცილებელი გააჩნია, არც პარტნიორების ნაკლებობას განიცდის, ასე რომ, ახლა ყველაფერი მინისტრზეა დამოკიდებული...

**ბ. სემიონოვი.**

(საკდესის კორ.).

ლონდონი.

## ცნობები უცხოეთიდან

### იმედების სპარტაკიადა

დაახლოებით ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი მიიღებს მონაწილეობას გდრ-ის მეოთხე საზამთრო სპარტაკიადაში. მათგან ნახევარზე მეტი შეიკრიბება საზამთრო სახეობების ცენტრში — ობერჰოფში, სადაც აზნი 1972 წლის 22-26 თებერვალს იასპარეზებენ სათხილამურო და საციგო სპორტში. ამავე დღეებში გდრ-ის დედაქალაქში გამოვლენ ჭაბუკი მოციგურავეები და ფიგურისტები.

„იმედების სპარტაკიადის“ მონაწილეებს მიესალმებიან რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენები, რომლებიც იმ დროისთვის საპოროს ოლიმპიური თამაშებიდან ჩამოვლენ.

ფინალურ თამაშებს წინ უძღვის შეჯიბრებები სკოლებსა და ოლქებში. უკვე მოეწყო პირველი სტარტები.

ბერლინი.

საქვეყნო მოვლენები

### ოლიმპიური ოპერა

მიუნხენის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტისგან უჩვეულო დაკვეთა მიიღო კომპოზიტორმა იოაჰიმ ლიუდვიგმა: სახელგანთქმული დირიჟორის ჰერბერტ ფონ კარაიანის 38 წლის მოწაფემ 1972 წლის ზაფხულის თამაშებისთვის უნდა დაწეროს... ოპერა.

მომავალი ქმნილების ლიბრეტო დაფუძნებულია შუასაუკუნოვან იაპონურ ლეგენდა „რასიომონზე“ (ამ ლეგენდის მოტივებზე აგებულმა ფილმმა მსოფლიოს ეკრანები მოიარა). ფორმით ოპერა მოდერნისტული იქნება. კომპოზიტორის აზრით, სპექტაკლს თან უნდა ახლდეს არაჩვეულებრივი შუქის ეფექტები, რაც შეიქმნება ყველა თანამედროვე ელექტროაპარატურის დახმარებით.

მიუნხენი.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 4 იანვარს.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ № 11. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11. უე 04493